ლტოლვილთა ეფექტური ჩართულობა

მონაწილეობითი მიდგომები პრაქტიკოსებისთვის ადგილობრივ დონეზე

კრებულში შედის:

- ამოსაბეჭდი სახელმძღვანელო
- ინტერაქტიული ონლაინ სახელმძღვანელო
- ანიმაციური განმარტებითი ვიდეო
- თვითშეფასების ინსტრუმენტები

პრაქტიკული ინსტრუმენტების კრებული

UNHCR-მა და მიგრაციის პოლიტიკის ჯგუფმა (MPG) შეიმუშავეს პრაქტიკული ინტრუმენტების კრებული, რომლითაც ადგილობრივ აქტორებს შეუძლიათ ლტოლვილთა ინტეგრაციისა და ჩართულობის სფეროში საკუთარი პრაქტიკის შემუშავება, შესწორებების შეტანა და შეფასება.
ინსტრუმენტების კრებული შემუშავდა ევროპის 7 საპილოტე ქვეყნის ინტეგრაციის სფეროს პრაქტიკოსებთან ერთად, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ კრებულის შემუშავებაში, გამოცდასა და დამტკიცებაში.

MIGRATION POLICY GROUP

UNHCR
The UN Refugee Agency

UNHCR.ORG/MUNICIPALITIES-TOOLKIT

კრებული მოიცავს:

6 მთავარი საკითხი

ექვსი მთავარი საკითხი, რომლებიც აუცილებელია ინტეგრაციის წარმატებული და ყოვლისმომცველი მოდელისთვის

1. გარკვევით იცოდეთ, რა დახმარება ესაჭიროება ლტოლვილს
2. გაწეული დახმარება უნდა პასუხობდეს ყველას საჭიროებებს
3. მომსახურებები შექმენით გრძელ-ვადიანი გათვლით
4. არამარტო იმუშავეთ ადამიანებისთვის, არამედ იმუშავეთ მათთან ერთად
5. ჩართეთ ადგილობრივი ჯგუფები და ხელი შეუწყვეთ მოხალისეობას
6. მიიღეთ ზომები რომ საინტეგ-რაციო და ჩართულობის დახმარება იყოს ყოვლის-მომცველი

განმარტებითი ანიმაციური ვიდეო

განმარტებით ვიდეოში მოკლედ და მარტივად გასაგებად არის გადმოცემული წინამდებარე ინსტრუმენტების კრებულის მიმოხილვა, მისი შინაარსი და გამოყენების მეთოდები.



კარგი პრაქტიკა

თითოეული საკითხის შესახებ მოცემულია ინტეგრაციისა და ჩართულობის კარგი პრაქტიკის მაგალითები.

დახმარების მოდელების სრული სპექტრის გამოყენება:

ფინეთში 2004 წლიდან მოქმედებს ეროვნული ქსელი ვიკითხოთ ერთად, რომელიც ავრცელებს ფინური ენის ცოდნას და ფინურად წერა-კითხვას ფინეთში მყოფ იმიგრანტ ქალებსა და გოგონებს შორის და ამით ეხმარება მათ ფინეთის საზოგადოებაში ინტეგრაციაში. სასწავლო ჯგუფები იკრიბებიან კვირაში ერთხელ ორი საათით. გარდა ამისა, ქსელი აწყობს სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს და აქვეყნებს საგანმანათლებლო მასალებს.

თვითშეფასების ინსტრუმენტები

პრაქტიკული საკონტროლო სია და ქულების ბარათი თქვენი ორგანიზაციის საინტეგრაციო და ჩართულობის აქტივობების შესაფასებლად.

საკონტროლო სია იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ რა დახმარება ესაჭიროება ლტოლვილს.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო სია გთავაზობთ დეტალურ, ნაბიჯ-ნაბიჯ შესასრულებელ პროცესს, რომელიც დაეხმარება ორგანიზაციებს, შეარჩიონ და დაგეგმონ აქტივობები ისე, რომ გარკვევით იცოდნენ, რა დახმარება ესაჭიროებათ ლტოლვილებს.

- ინტეგრაციის სტრატეგიების და სერვისების დაგეგმვამდე **გააანალიზეთ არსებული ინფორმაცია** ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ, მათ შორის ლტოლვილებთან საუბრის გზით (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ძირითადი საკითხი 4); შეაფასეთ, რა ტენდენციები იკვეთება ლტოლვილების ინტეგრაციის შედეგებთან დაკავშირებით;
- **განსაზღვრეთ ინტეგრაციის საჭიროებები, აგრეთვე შესაძლო ახალი გამოწვევები.** რომლებიც დაკავშირებული იქნება თქვენი მომსახურებების მიწოდებასთან. მაგალითად, კოვიდ 19-ის პანდემიამ ახალი პრობლემები შეუქმნა ტრადიციულად სერვისების მიმწოდებლებსაც და ლტოლვილებსაც (მაგალითად კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემები დისტანციური საინტეგრაციო ტრენინგების დროს.)